საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება

ქ. თბილისი

N 3543-02
28.12.2023

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2018 წლის 16 მარტის N577-02 ბრძანებით ,,ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის „ბიზნესის უწყვეტობის გეგმის“ დამტკიცების შესახებ“ დამტკიცებულ დანართში ცვლილების შეტანის თაობაზე

ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის, ,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 23-ე მუხლის 1-ლი პუნქტის, 24-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „ზ" ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის №134/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების“ მე-19 მუხლის 1-ლი პუნქტისა და მე-20 მუხლის 1-ლი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის საფუძველზე და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2023 წლის 28 ნოემბრის N20885-35 წარდგინების გათვალისწინებით,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. შევიდეს ცვლილება ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2018 წლის 16 მარტის N577-02 ბრძანებით დამტკიცებულ „ბიზნესის უწყვეტობის გეგმაში“ და ის ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით.
2. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს განვითარებისა და შემოსავლების მიმართულებით ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მოადგილეს ქეთევან დარახველიძეს.
3. დაევალოს კანცელარიას „ბიზნესის უწყვეტობის გეგმა“ ატვირთოს უნივერსიტეტის ელექტრონულ პროგრამა „კოდექსში“.
4. უნივერსიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს დაევალოს ამ ბრძანებით განსაზღვრული ინფორმაციის უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე განთავსება.
5. დაევალოს უნივერსიტეტის კანცელარიას, ბრძანება გააცნოს უნივერსიტეტის ფაკულტეტებს/სკოლებს და ყველა სტრუქტურულ ერთეულს.

ქეთევან ლაკირბაია

ადმინისტრაციის ხელმძღვანელი